



სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	ისტორია
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	ისტორიის ბაკალავრი/Bachelor of English Philology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	<p>საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.</p> <p>ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს.</p> <p>სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.</p>
პროგრამის ხელმძღვანელი	----- (სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ იხ. თანდართულ CV-ში)

<p><b>პროგრამის მიზნები</b></p>	<p><b>ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:</b></p> <p>აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს ისტორიის ბაკალავრი, რომელსაც ექნება საქართველოს ისტორიის ცოდნა კავკასიის რეგიონთან და იმ მსოფლიო ცივილიზაციებთან მიმართებით, რომლებთანაც ის ისტორიულად იყო დაკავშირებული. შეისწავლის წარსულს მრავალი კუთხით: პოლიტიკურ მოვლენებს, სამხედრო ქმედებებს, საზოგადოებრივ ცხოვრებას, ეკონომიკურ, სოციალურ და სამართლებრივ ასპექტებს, კულტურულ მემკვიდრეობას. პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტს ჩამოუყალიბოს მოვლენების ისტორიული ხედვისა და კრიტიკული გააზრების უნარი როგორც ნაციონალურ, ასევე მსოფლიო ისტორიის კონტექსტში, სტუდენტებში სამოქალაქო ცნობიერების, სოციალური ერთიანობის, ნაციონალური, კულტურული და რეგიონალური იდენტობის ფორმირების ხელშეწყობას. ისტორიის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამა ხელს შეუწყობს სტუდენტისთვის როგორც ისტორიის ზოგადი ცოდნისა და ბაკალავრისთვის აუცილებელი ფართო დარგობრივი კომპეტენციების, ასევე ზოგადი კომპეტენციების განვითარებას. პროგრამის მიზანია ჩამოაყალიბოს მოქალაქე აღჭურვილი ანალიტიკური, კრიტიკული და კომუნიკაციური უნარებით, რაც მნიშვნელოვანია ცოდნაზე დაფუძნებული თანამედროვე საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის. ისტორიის სწავლებისას აუცილებელი ძირითადი კომპეტენციები ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგებში.</p> <p>ისტორიის ბაკალავრი შეიძლება დასაქმდეს არქივებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, გამომცემლობებში, ტურიზმში, მასმედიაში. დამხმარე ფუნქციით სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (არააკადემიურ თანამდებობებზე), კერძო სექტორში</p> <p><b>ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:</b></p>
<p><b>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</b></p>	<p>ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.</p> <p>ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.</p> <p>ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.</p> <p>ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.</p>
	<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p> <p>იცის საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან თანამედროვე ეპოქამდე. ფლობს ემპირიულ ცოდნას</p>

**სწავლის შედეგები**

(ისტორიის საბაკალავრო  
პროგრამის კურსდამთავრებული  
ფლობს შემდეგ დარგობრივ და  
ზოგად (ტრანსფერულ)  
კომპეტენციებს)

საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენების შესახებ, იცნობს საქართველოს ისტორიის ქართულ და უცხოურ წყაროებს. შესწავლილი აქვს მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში მიმდინარე პროცესები, პოლიტიკური რეპრესიების პერიოდი. საბჭოური რეჟიმის ბრძოლა თავისუფალი აზრისა და დემოკრატიული ფასეულობების წინააღმდეგ. ქართული პოლიტიკური და კულტურული ინტელიგენციის დიდი ნაწილის საბჭოთა რეპრესიული მანქანისაგან ლტოლვის პროცესი, მათი ემიგრირების მიზეზები დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში. ქართველ ემიგრანტთა პოლიტიკური და სამეცნიერო – კულტურული მოღვაწეობის ასპექტები. იცნობს მათ შემოქმედებით მემკვიდრეობას. ფლობს საჭირო ინფორმაციას საერთაშორისო სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის პროცესის შესახებ.

აქვს ზოგადი ცოდნა უძველესი ცივილიზაციების, ხალხების ეთნიკური წარმოშობის, რელიგიური მრწამსისა და ცხოვრების წესის შესახებ. შეუძლია ხალხების ეთნიკური ნიშნით კლასიფიცირება. იცნობს არქეოლოგიის საფუძვლებს, არქეოლოგიის განვითარების ეტაპებს. აქვს გარკვეული ცოდნა საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების შესახებ.

აქვს ემპირიული ცოდნა ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციების ჩასახვის, განვითარებისა და რღვევის პოლიტიკური და სოციალ–ეკონომიკური პროცესების შესახებ. გააჩნია საჭირო ცოდნა ძველი ევროპული ცივილიზაციების—ძველი საბერძნეთისა და ძველი რომის სახელმწიფოების შესახებ.

აქვს საჭირო ცოდნა ევროპაში ფეოდალური სახელმწიფოების ჩამოყალიბებისა და განვითარების, იქ მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალურ–კულტურული პროცესების შესახებ. ევროპის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის შესახებ განვითარებულ და გვიანდელ პერიოდებში. იცნობს აღორძინების პერიოდის კულტურისა და მეცნიერების მიღწევებს. იცნობს ევროპის გვიანი შუა საუკუნეების ისტორიის ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას, როგორცაა რეფორმაცია. აქვს მყარი ცოდნა ევროპის ქვეყნებში კაპიტალიზმის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ ფეოდალიზმის შემდგომ პერიოდში. იცნობს იმ პოლიტიკურ პროცესებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ევროპაში ახალ ეპოქაში—კოლონიალური ქსელის გაფართოებას, შიდა პროცესებს, ცალკეულ მოღვაწეთა სოციალ–ეკონომიკურ და პოლიტიკურ შეხედულებებს. აქვს ზოგადი ცოდნა ამერიკის ორივე კონტინენტის უძველესი მოსახლეობის, ევროპელთა ექსპანსიისა და კოლონიზაციის, აშშ შექმნისა და იქ მიმდინარე პროცესების შესახებ ახალ ეპოქაში. აქვს საჭირო ცოდნა ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი პერიოდის ისტორიის შესახებ.

იცნობს მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიას ფეოდალურ პერიოდში.

აქვს ცოდნა ქართული დამწერლობის ევოლუციის შესახებ. იცნობს უძველესი ქართული დამწერლობის ნიმუშებს, ზოგადად ერკვევა ქართული სასულიერო და საერო მწერლობის განვითარების ისტორიაში. იცნობს ქართული ისტორიოგრაფიის ძეგლებს.

იცნობს გეოგრაფიისა და ისტორიის დარგს—ისტორიულ გეოგრაფიას, ერკვევა საქართველოს ისტორიული საზღვრებში, შეუძლია ქვეყნის პოლიტიკურ–ადმინისტრაციული დაყოფა ეპოქის მიხედვით, ძველი ქალაქებისა და სოფლების მდებარეობის, გზათა ქსელის განსაზღვრა.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

შეუძლია საქართველოს ადგილისა და როლის განსაზღვრა თანამედროვე კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკურ სივრცეში. მისი, როგორც მნიშვნელოვანი სუბიექტის გამოკვეთა საერთაშორისო გლობალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებთან მიმართებაში. საქართველოს ისტორიის ადრეული პერიოდის განზოგადება და სინთეზირება აღმოსავლეთის ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალ-ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებთან. მოვლენების ანალიზთან ერთად შეუძლია მათი კატეგორიზაცია და თანმიმდევრობით დალაგება ქრონოლოგიურ ჭრილში. გამოკვეთოს აღნიშნული სახელმწიფოების განვითარების ცალკეული ეტაპები. შეუძლია მათი დაკავშირება საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენებთან, იქ მიმდინარე ისტორიული პროცესის სინთეზირება გარე სამყაროში არსებულ სიტუაციასთან და შესაბამისი დასკვნის გამოტანა.

ისტორიული პროცესების ფონზე შეუძლია გამოკვეთოს ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა ევროპის ქვეყნებისა და ზოგადად მსოფლიო ისტორიაში, როგორცაა ჯვაროსნული ლაშქრობები. განსაზღვროს და შეაფასოს ამ მოვლენის ადგილი და როლი მსოფლიო ისტორიაში, მოახდინოს აღნიშნული მოვლენის მისადაგება საქართველოს ისტორიის შესაბამის პერიოდთან და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. შეუძლია გამოკვეთოს აღნიშნული პერიოდის ძირითადი პოლიტიკური და ეკონომიკური მახასიათებლები, კაპიტალიზმის გენეზისისა და განვითარების საწყისი სტადიისათვის დამახასიათებელი რთული ეკონომიკურ-პოლიტიკური და სოციალური პროცესები. შეუძლია ამ მიმართულებით თემის შერჩევა და დემონსტრირება. შეუძლია მსჯელობა იმ პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების შესახებ, რომლებმაც გამოიწვიეს აშშს დომინანტური მდგომარეობა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის მსოფლიოში.

შეუძლია განსაზღვროს ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენის ადგილი და როლი აღმოსავლეთის ქვეყნების განვითარებაში, როგორცაა ისლამის წარმოშობა და გავრცელება. იცის აღმოსავლური ფეოდალიზმის თავისებურებებისა და განსხვავების შესახებ ევროპულ ფეოდალიზმთან მიმართებაში, ამ მიმართულებით შეუძლია მოვლენათა შედარება და სინთეზირება. შეუძლია გამოყოს საქართველოს სახელმწიფოს ადგილი და როლი აღმოსავლეთის სახელმწიფოთა (ირანი, არაბეთი, მონღოლეთი, თურქეთი) ექსპანსიონისტურ პოლიტიკაში ფეოდალურ პერიოდში. მოვლენათა შედარებისა და ანალიზის უნარის საფუძველზე შეუძლია ევროპის ქვეყნების ადრინდელი შუა საუკუნეების ისტორიიდან ჯვაროსნული ომების პერიოდის დაკავშირება მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიასთან და სათანადო დასკვნების გამოტანა.

შემღებს შესასწავლი მოვლენის თანადროულობისა და ქრონოლოგიური განსაზღვრულობის დადგენას, ძეგლის ენის თანაფარდობას ცოცხალ მეტყველებასთან.

**დასკვნის უნარი**

აქვს ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ანალიზისა და დასკვნის გამოტანის უნარი. საქართველოს

	<p>ფეოდალური სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მოვლენების განხილვა და სინთეზირება საერთაშორისო პოლიტიკურ ჭრილში.</p> <p>შეუძლია ეპოქის აღწერა, მნიშვნელოვანი მოვლენების გამოკვეთა, მოვლენებისა და ფაქტების დაკავშირება, მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა და დემონსტრირება.</p> <p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p> <p>შეუძლია საქართველოს ისტორიის უცხო ენოვანი წყაროს შინაარსობრივი თარგმნა და მოვლენის ილუსტრირება, ისტორიული თემის პრეზენტირება.</p> <p>აქვს ისტორიულ წყაროებზე მუშაობის უნარ-ჩვევები. შეუძლია ისტორიული წყაროს კლასიფიკაცია, წაკითხვა და ანალიზი, ცალკეული ადგილების განმარტება და განზოგადება. კომუნიკაციისას შეუძლია წყაროდან საჭირო ინფორმაციის მოხმობა და გამოყენება.</p> <p><b>სწავლის უნარი</b></p> <p>შეეძლება საკუთარი სწავლის პროცესების დამოუკიდებლად მართვა და სწავლის შემდგომი გაგრძელებისთვის საჭირო გზების მოძიება</p> <p>შეუძლია გაანალიზოს და დამოუკიდებლად გაიღრმავოს ცოდნა სათანადო ინფორმაციის წყაროების მოძიებით</p> <p><b>ღირებულებები</b></p> <p>ახალი საზოგადოებრივი ღირებულებების ჩამოყალიბება-ფორმირებაში მონაწილეობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ფლობა და ასევე მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.</p> <p>პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ და დამახასიათებელ ღირებულებებთან თავისი და სხვათა დამოკიდებულების შეფასება და სხვებისთვის გაზიარება.</p>
<p><b>სწავლება-სწავლის მეთოდები</b></p>	<p>ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის წარმოებს ცოდნის გადაცემის ისეთი საშუალებები, როგორცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.).</p>
<p><b>სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა</b></p>	<p>ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შემენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.</p> <p>ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.</p> <p>ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).</p>

	<p>შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერილით გამოცდა, ზეპირი/წერილით გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.</p> <p>შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.</p> <p>დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.</p> <p>ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;  (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;  (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;  (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;  (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.</p> <p>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;  (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.</p>
დასაქმების სფეროები	<p>ისტორიის ბაკალავრი შეიძლება დასაქმდეს არქივებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, გამომცემლობებში, ტურიზმში, მასმედიაში. დამხმარე ფუნქციით სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (არააკადემიურ თანამდებობებზე), კერძო სექტორში.</p>

<p><b>სწავლის გაგრძელების საშუალება</b></p>	<p>ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში <b>ჰუმანიტარული</b> მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.</p> <p>კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.</p>
<p><b>პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა</b></p>	<p>ისტორიის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზი;</li> <li>• კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;</li> <li>• კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;</li> <li>• სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.</li> </ul> <p>საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.</p>
<p><b>პროგრამის ადამიანური რესურსი</b></p>	<p>ისტორიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები. (სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ იხ. თანდართულ ნუსხაში)</p>

**პროგრამის სტრუქტურა**

<p>ისტორიის საბაკალავრო სასწავლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს:</p>
---

საუნივერსიტეტო საგნებს 30 კრედიტის ოდენობით ძირითადი სპეციალობის (major) საგნებს 120 კრედიტს, რომელიც წარმოდგენილია სამი მოდულისა (ქართული ლიტერატურის ისტორიის, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლების, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის) და ცალკეული კურსების სახით ძირითადი სპეციალობის არჩევით კურსებს 15 კრედიტი (თავისუფალი კრედიტები) 15 კრედიტი დამატებითი სპეციალობა (minor) 60 კრედიტი

<p>საუნივერსიტეტო საგნების 30 კრედიტი სავალდებულოა ყველასთვის</p>	<p>საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების საფუძვლზე საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი იღებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების იმ ზოგადტრანსფერულ უნარებს, რომლებსაც წარმატებით გამოიყენებს საკუთარი სპეციალობის ათვისების პროცესსა და საზოგადოებრივი ღირებულებების დამკვიდრების პროცესში.</p> <p>საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების კომპონენტიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს 30 კრედიტი. საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიების, უცხო ენისა და აკადემიური წერის სწავლებას. საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები გულისხმობს სწავლის შედეგებით განსაზღვრული კომუნიკაციის უნარისა და ღირებულებების ჩამოყალიბებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების მიცემას სტუდენტისთვის, რომ მას შეეძლოს ადნიშნული სასწავლო კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნით ღირებულებათა ფორმირების ხელშეწყობა, წერითი და ზეპირი კომუნიკაციური უნარების განვითარება და ინფორმაციის მოძიება-გადაცემის მიზნით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარის გამოუმუშავება. ადნიშნული გულისხმობს ასევე უცხო ენის 20 კრედიტის ფარგლებში ინგლისური ენის სწავლებასა და ამ ენაზე კომუნიკაციის უნარის ჩამოყალიბებას სტუდენტისთვის, რაც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ელემენტების გაძლიერებას. ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, რომლებსაც ერთიანი ეროვნული გამოცდებისას არა აქვთ შეზღუდვა ჩააბარონ უცხო ენად მხოლოდ ინგლისური ენა, ჩარიცხვის შემთხვევაში იყოფიან ჯგუფებად უცხო ენის ცოდნის დონეების მიხედვით და შესაბამისად სწავლობენ სათანადო საფეხურიდან.</p>
---	---

<p>ძირითადი სპეციალობის (major) საგნებს 120 კრედიტი, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს ისტორიის მოდულისა და ცალკეული კურსების სახით</p>	<p>ძირითადი სპეციალობის (major) სასწავლო კურსების ფარგლებში გასავლელი 120 კრედიტი, რომელიც წარმოდგენილია სამი მოდულისა (ქართული ლიტერატურის ისტორიის, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლების, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის) და ცალკეული კურსების სახით, ძირითადად ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული ცოდნა გაცნობიერებისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ფარგლებში გაწერილი ცოდნისა და უნარების სტუდენტისთვის გადაცემაზე. ადნიშნულს სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტი იძენს სწავლისა და დასკვნის უნარებისთვის, ღირებულებების ფორმირებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს. ყველა სასწავლო კურსი სავალდებულოა.</p>
---	--

<p>ძირითადი სპეციალობის არჩევით კურსების 15 კრედიტი</p>	<p>ძირითადი სპეციალობის არჩევით კურსების 15 კრედიტი სტუდენტს აძლევს ძირითადი სპეციალობის ფარგლებში მისთვის მიწოდებული სასწავლო მოდულების გაძლიერების საშუალებას. არჩევითი კურსების სია წარმოდგენილია სწავლის შედეგებით განსაზღვრული ცოდნა და გაცნობიერების, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, სწავლისა და დასკვნის უნარის გამოუმუშავებისთვის საჭირო დამატებითი კომპეტენციებისთვის საჭირო სასწავლო კურსების სახით, რომლებიც მიზანშეწონილია სტუდენტმა გაიაროს ან ერთი რომელიმე მოდულის შესავსებად, ან სამივე მოდულის ფარგლებში თითო სასწავლო კურსის სახით. სასწავლო კურსები ხუთ-ხუთი კრედიტის ფარგლებში აძლევს სტუდენტს ძირითადი სპეციალობის მოდულების ფარგლებში შესწავლილი კურსების შეწვების საშუალებას</p>
---	---

<p>თავისუფალი კრედიტი (15 კრედიტი)</p>	<p>ადნიშნული კრედიტების ფარგლებში სტუდენტს ეძლევა საშუალება მისთვის სასურველი სასწავლო კურსების ათვისების, როგორც ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ასევე სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემაჯავლი სასწავლო კურსებიდან. სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს სასწავლო კურსების ნუსხა, რომელთაგან სტუდენტი უფლებამოსილია აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურსები 15 კრედიტის ფარგლებში. ადნიშნული კრედიტების ფარგლებში მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს ეძლევა საშუალება ეღიაროს არასპეციალობის სხვა სასწავლო კურსები,</p>
--	--



	რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. აღნიშნული მოქნილსა და რელევანტურს ხდის საერთაშორისო მობილობით მოსარგებლე სტუდენტის კრედიტების აღიარების პროცედურებს.
დამატებითი სპეციალობა (minor) 60 კრედიტი	აღნიშნული დამატებითი სპეციალობის 60 კრედიტი ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს აძლევს საშუალებას დამატებით შეისწავლოს ინგლისური ფილოლოგიის ან ქართული ფილოლოგიის ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები 60 კრედიტის ფარგლებში. აღნიშნული დამატებითი სპეციალობის 60 კრედიტი მოქნილსა და რელევანტურს ხდის საერთაშორისო მობილობით მოსარგებლე სტუდენტთა კრედიტების აღიარების პროცედურას, რომელზემაც ისარგებლეს მინიმუმ ერთი აკადემიური წლით საზღვარგარეთ სწავლის საშუალებით სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი ERASMUS MUNDUS-ის ფარგლებში.

**პროგრამის საგნობრივი დატვირთვა**

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგნის მოდული	ECTS კრედიტი/საათი <sup>1</sup>								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა <sup>2</sup>	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები <sup>3</sup>	დამოუკიდებელი საათები <sup>4</sup>
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
			<b>საუნივერსიტეტო საგნები</b>	<b>5</b>	<b>5</b>								
1.	SUB.1		აკადემიური წერა										
2.	SUB.2		საინფორმაციო ტექნოლოგიები										
	<b>SUB.3</b>		<b>უცხო ენა</b>										
3.	SUB.3.1		უცხო ენა										
4.	SUB.3.2		უცხო ენა										
5.	SUB.3.3		უცხო ენა										
6.	SUB.3.4		უცხო ენა										
			<b>ძირითადი სპეციალობის სავალდებულო</b>										

<sup>1</sup> ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

<sup>2</sup> დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

<sup>3</sup> საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო

<sup>4</sup> საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (საშინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგნის მოდული	ECTS კრედიტი/საათი <sup>1</sup>								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა <sup>2</sup>	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები <sup>3</sup>	დამოუკიდებელი საათები <sup>4</sup>
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
<b>მოდულები და საგნები</b>													
7.	SHB1004.1		პალეოგრაფია		5								
8.	SHB1004.2		ეთნოლოგიის შესავალი		5								
	SHB1004.3		საქართველოს ისტორია										
9.	SHB1004.3.1		საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე)	5									
10.	SHB1004.3.2		საქართველოს ისტორია (XIII-XVIII სს)		5								
11.	SHB1004.3.3		საქართველოს ისტორია (XVIII-1921წ)			5							
12.	SHB1004.3.4		საქართველოს ისტორია ( 1921წლიდან 2010 წლამდე)				5						
13.	SHB1004.5		ძველი აღმოსავლეთის ისტორია	5									
14.	SHB1004.6		ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორია		5								
15.	SHB1004.7		ადრეული შუა საუკუნეები და ჯვაროსანთა ეპოქა			5							
16.	SHB1004.8		შუა საუკუნეების ისტორია (განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეები)				5						
	SHB1004.9		მახლობელი აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ისტორია			5							
17.	SHB1004.10		ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია				5						
18.	SHB1004.11		ახლო აღმოსავლეთის ახალი ისტორია						5				
19.	SHB1004.4.5		ახლო აღმოსავლეთის უახლესი ისტორია					5					
20.	SHB1004.12		ევროპა-ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია (1550-1914)					5					
21.	SHB1004.13		ევროპა-ამერიკის უახლესი ისტორია (1914-1945)						5				
22.	SHB1004.14		ევროპა-ამერიკის უახლესი ისტორია (1945-2000)							5			
23.	SHB1004.15		არქეოლოგიის საფუძვლები /ზოგადი არქეოლოგია	5									
24.	SHB1004.16		საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია							5			
25.	SHB1004.17		ქართული ემიგრაციის ისტორია							5			
26.	SHB1004.18		საქართველო კავკასია და ახლო აღმოსავლეთი თანამედროვე ეტაპზე								5		

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგნის მოდული	ECTS კრედიტი/საათი <sup>1</sup>								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა <sup>2</sup>	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები <sup>3</sup>	დამოუკიდებელი საათები <sup>4</sup>
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
27.	SHB1004.19		ისტორიული გეოგრაფია									5	
28.			საზოგადოებრივი წესრიგი									10	
29.			თავისუფალი					5	5	5			
30.			<i>ძირითადი სპეციალობის არჩევითი საგნები</i>	5				5	5				
	SHB1004.20		ნუმისმატიკა										
31.	SHB1004.21		ეპიგრაფიკა										
32.	SHB1004.22		დიპლომატიკა										
33.	SHB1004.23		რელიგიის ისტორია										
34.	SHB1004.24		ქართული სამართლის ისტორია										
35.	SHB1004.25		გეოპოლიტიკა										
36.	SHB1004.26		შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია										
37.	SGB1005.27		კულტუროლოგია										
38.	SHB1004.27		საქართველოს არქეოლოგია										
39.	SHB1004.28		დემოკრატია და მოქალაქეობა										
40.	SEB100502.25		<b>History of culture</b>										
41.	SEB100502.25.1		History of Georgian Culture										
42.	SEB100502.25.2		History of European Culture										
43.													
			<i>დამატებითი სპეციალობა (min)</i>			10	10	10	10	10	10		
44.			<i>ძირითადი სპეციალობის სავალდებულო მოდულები და საგნები</i>										
45.	<b>SHB1004.3</b>		<b>საქართველოს ისტორია</b>										
	SHB1004.3.1		საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე)			5							
	SHB1004.3.2		საქართველოს ისტორია (XIII-XVIII სს)				5						
	SHB1004.3.3		საქართველოს ისტორია (XVIII-1921წ)					5					
	SHB1004.3.4		საქართველოს ისტორია ( 1921წლიდან 2010 წლამდე)						5				

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგნის მოდული	ECTS კრედიტი/საათი <sup>1</sup>								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა <sup>2</sup>	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები <sup>3</sup>	დამოუკიდებელი საათები <sup>4</sup>
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
	SHB1004.4.5		მველი აღმოსავლეთის ისტორია							5			
	SHB1004.6		მველი საბერძნეთისა და რომის ისტორია			5							
	SHB1004.7		ადრეული შუა საუკუნეები და ჯვაროსანთა ეპოქა				5						
1.	SHB1004.8		შუა საუკუნეების ისტორია (განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეები)					5					
2.	SHB1004.12		ევროპა-ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია (1550-1914)						5				
	SHB1004.13		ევროპა-ამერიკის უახლესი ისტორია (1914-1945)							5			
3.			<i>ძირითადი სპეციალობის არჩევითი საგნები</i>								5/5		
4.													
5.													
6.													
7.													
8.													
9.													
10.													
			სემესტრში	30	30	30	30	30	30	30	30		
			წელიწადში	60		60		60		60			

სწავლის შედეგების რუკა

#	საგნის კოდი	საგანი	კომპეტენციები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	SUB.1	აკადემიური წერა	X	X	X	X	X	X
2	SUB.2	საინფორმაციო ტექნოლოგიები	X	X	X	X	X	X
	<b>SUB.3</b>	<b>უცხო ენა</b>			X	X	X	X
3	SUB.3.1	უცხო ენა	X	X	X	X	X	X
4	SUB.3.2	უცხო ენა	X	X	X	X	X	X
5	SUB.3.3	უცხო ენა	X	X	X	X	X	X
6	SUB.3.4	უცხო ენა	X	X	X	X	X	X
		<i>ძირითადი სპეციალობის სავალდებულო მოდულები და საგნები</i>						
7	SHB1004.1	პალეოგრაფია	X	X	X	X	X	X
8.	SHB1004.2	ეთნოლოგიის შესავალი	X	X	X	X	X	X
	SHB1004.3	საქართველოს ისტორია	X	X	X	X	X	X
9.	SHB1004.3.1	საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდანXIII საუკუნემდე)	X	X	X	X	X	X
10.	SHB1004.3.2	საქართველოს ისტორია (XIII-XVIIIსს)	X	X	X	X	X	X
11.	SHB1004.3.3	საქართველოს ისტორია (XVIII–1921წ)	X	X	X	X	X	X
12.	SHB1004.3.4	საქართველოს ისტორია ( 1921წლიდან 2010 წლამდე)	X	X	X	X	X	X
	SHB1004.5	ძველი აღმოსავლეთის ისტორია	X	X	X	X	X	X
13.	SHB1004.6	ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორია	X	X	X	X	X	X
14.	SHB1004.7	ადრეული შუა საუკუნეები და ჯვაროსანთა ეპოქა	X	X	X	X	X	X
15.	SHB1004.8	შუა საუკუნეების ისტორია (განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეები)	X	X	X	X	X	X
16.	SHB1004.9	მახლობელი აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ისტორია	X	X	X	X	X	X
	SHB1004.10	რეფორმაციის ისტორია	X	X	X	X	X	X
17.	SHB1004.11	ახლო აღმოსავლეთის ახალი ისტორია	X	X	X	X	X	X
18.		ახლო აღმოსავლეთის უახლესი ისტორია	X	X	X	X	X	X
19.	SHB1004.12	ევროპა–ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია (1550–1914)	X	X	X	X	X	X
20.	SHB1004.13	ევროპა–ამერიკის უახლესი ისტორია (1914–1945)	X	X	X	X	X	X
21.	SHB1004.14	ევროპა–ამერიკის უახლესი ისტორია (1945–2000)	X	X	X	X	X	X
22.	SHB1004.15	არქეოლოგიის საფუძვლები /ზოგადი არქეოლოგია	X	X	X	X	X	X
23.	SHB1004.16	საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია	X	X	X	X	X	X
24.	SHB1004.17	ქართული ემიგრაციის ისტორია	X	X	X	X	X	X
25.	SHB1004.18	საქართველო_კავკასია და ახლო აღმოსავლეთი თანამედროვე ეტაპზე	X	X	X	X	X	X
26.	SHB1004.19	ისტორიული გეოგრაფია	X	X	X	X	X	X
27.		საბაკალავრო ნაშრომი	X	X	X	X	X	X
28.		თავისუფალი	X	X	X	X	X	X
29.		<i>ძირითადი სპეციალობის არჩევითი საგნები</i>		X	X	X	X	X
30.	SHB1004.20	ნუმისმატიკა						
	SHB1004.21	ეპიგრაფიკა						
31.	SHB1004.22	დიპლომატიკა	X	X	X	X	X	X
32.	SHB1004.23	რელიგიის ისტორია	X	X	X	X	X	X

33.	SHB1004.24	ქართული სამართლის ისტორია	X	X	X	X	X	X
34.	SHB1004.25	გეოპოლიტიკა	X	X	X	X	X	X
35.	SGB1005.27	კულტუროლოგია	X	X	X	X	X	X
36.	SHB1004.26	საქართველოს არქეოლოგია	X	X	X	X	X	X
37.	SHB1004.27	დემოკრატია და მოქალაქეობა	X	X	X	X	X	X
38.	SEB100502.25	<b>History of culture</b>	X	X	X	X	X	X
39.	SEB100502.25.1	History of Georgian Culture	X	X	X	X	X	X
40.	SEB100502.25.2	History of European Culture	X	X	X	X	X	X
41.			X	X	X	X	X	X
42.			X	X	X	X	X	X
43.			X	X	X	X	X	X
44.			X	X	X	X	X	X
45.			X	X	X	X	X	X

ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ

სახელი, გვარი			
თანამდებობა	პროფესორი		
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი:		ელ-ფოსტა:

ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ

№			
	აკადემიური წერა	ასმათ შონია	ფილოლოგიის დოქტორი
	საინფორმაციო ტექნოლოგიები	რევაზ ხაინდრავა	ეკონომიკის დოქტორი
	უცხო ენა	ტატიანა გულუა	მასწავლებელი
	უცხო ენა	ტატიანა გულუა	მასწავლებელი
	უცხო ენა	ტატიანა გულუა	მასწავლებელი
	უცხო ენა	ტატიანა გულუა	მასწავლებელი
	პალეოგრაფია	ლუიზა ხაჭაპურიძე	ფილოლოგიის დოქტორი
	ეთნოლოგიის შესავალი	ნესტან კვარაცხელია	ისტორიის დოქტორი

	საქართველოს ისტორია		
	საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე)	ავთანდილ თორდია	ისტორიის დოქტორი
	საქართველოს ისტორია (XIII-XVIII სს)	გელა ჩილაჩავა	დოქტორანტი
	საქართველოს ისტორია (XVIII-1921წ)	ნესტან კვარაცხელია	ისტორიის დოქტორი
	საქართველოს ისტორია (1921წლიდან 2010 წლამდე)	ნესტან კვარაცხელია	ისტორიის დოქტორი
	ძველი აღმოსავლეთის ისტორია	გიორგი ჭიღვარია	ისტორიის დოქტორი
	ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორია	ეკატერინე ანთია	ისტორიის დოქტორი
	ადრეული შუა საუკუნეები და ჯვაროსანთა ეპოქა	ზაალ ქორთუა	ისტორიის დოქტორი
	შუა საუკუნეების ისტორია (განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეები)	ზაალ ქორთუა	ისტორიის დოქტორი
	მახლობელი აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ისტორია	გიორგი ჭიღვარია	ისტორიის დოქტორი
	ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია	ავთანდილ თორდია	მასწავლებელი
	ახლო აღმოსავლეთის ახალი ისტორია	გიორგი ჭიღვარია	ისტორიის დოქტორი
	ახლო აღმოსავლეთის უახლესი ისტორია	გიორგი ჭიღვარია	ისტორიის დოქტორი
	ევროპა-ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია (1550-1914)	გელა ჩილაჩავა	ისტორიის დოქტორი
	ევროპა-ამერიკის უახლესი ისტორია (1914-1945)	გელა ჩილაჩავა	ისტორიის დოქტორი
	ევროპა-ამერიკის უახლესი ისტორია (1945-2000)	გელა ჩილაჩავა	ისტორიის დოქტორი
	არქეოლოგიის საფუძვლები /ზოგადი არქეოლოგია	ბექან აკობია	დოქტორანტი
	საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია	ავთანდილ თორდია	მასწავლებელი
	ქართული ემიგრაციის ისტორია	ეკატერინე ანთია	ისტორიის დოქტორი
	საქართველო_კავკასია და ახლო აღმოსავლეთი თანამედროვე ეტაპზე	გიორგი ჭიღვარია	ისტორიის დოქტორი
	ისტორიული გეოგრაფია	ავთანდილ თორდია	მასწავლებელი
	საბაკალავრო ნაშრომი		
	თავისუფალი		

	<i>ძირითადი სპეციალობის არჩევითი საგნები</i>		
	ნუმისმატიკა	ბექან აკობია	დოქტორანტი
	ეპიგრაფიკა	ავთანდილ თორდია	მასწავლებელი
	დიპლომატიკა	ავთანდილ თორდია	მასწავლებელი
	რელიგიის ისტორია	ავთანდილ თორდია	მასწავლებელი
	ქართული სამართლის ისტორია	ნინო ბულია	სამართლის დოქტორანტი
	გეოპოლიტიკა	მალხაზ გოგუა	ისტორიის დოქტორი
	კულტუროლოგია	ხათუნა გოგია	ფილოლოგიის დოქტორი
	საქართველოს არქეოლოგია	ბექან აკობია	დოქტორანტი
	დემოკრატია და მოქალაქეობა	ზაზა გაბისონია	დოქტორანტი
	History of Georgian Culture	ბელა მოსია	ფილოლოგიის დოქტორი
	History of European Culture	ბელა მოსია	ფილოლოგიის დოქტორი